ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 30

25.12.17 2017 წელი

(კონსოლიდირებული ტენდერი CON170000009)

ერთის მხრივ - ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორი მაია სამიტაშვილის და მეორეს მხრივ - შპს „თეგეტა მოტორსი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის თელავის ფილიალის დირექტორის ვახტანგ ხანჯალიაშვილის (მინდობილობა #0038, გაცემული: 04.01.2017 წ.) სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის, მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2016-2017 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №1453 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა,თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „სატენდერო კომისია" - „2016-2017 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №1453 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8 „ფორს-მაჟორი" - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა"
და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არაგონივრულად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავები (CRV 34350000), რომლებიც აკმაყოფილებენ 2016 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000009) სატენდერო დოკუმენტაციებითა და მათი დანართებით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის 4 (ოთხი) ცალი საბურავი, ზომით R16 215/65

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საბურავის ერთეულის ღირებულება შეადგენს 110 (ასათი) ლარს.

3.2 საბურავების ფასი მოიცავს მათი მონტაჟის და ბალანსირების ღირებულებას.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 440 (ოთხასორმოცი) ლარს.

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 „მიმწოდებელი" აწვდის „შემსყიდველს" საქონელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 10 აპრილის ჩათვლით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

4.4 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.5 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

მითითების გაცემის შემთხვევაში.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონლის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ე) საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.5%.

6.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავების ღირებულების 20%- ის ოდენობით.

6.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან დირექტორი მაია სამიტაშვილი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესასყიდი საქონლის მიწოდების ვადებისა და ხარისხის კონტროლს.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

9.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

10. სხვა პირობები

10.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 10 მაისის ჩათვლით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება ს/კ: 241 579 957 მის: ქ. ყვარელი კუდიგორის N2 ტელ: 352 22 02 41 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 სახ/კოდი 040102 დირექტორი მაია სამიტაშვილი	შპს „თეგეტა მოტორსი“ ს/კ: 202 177 205 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5 ტელ: 224 44 44; 599 09 09 10. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE80TB 0600 0000 2446 7853 თელავის ფილიალის დირექტორი ვახტანგ ხანჯალიაშვილი